

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N57ა საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე,
მოქალაქე ნინო კლდიაშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. ნინო კლდიაშვილის განცხადებების (2014წ.02.09.Nკ-6955;15.09.Nკ7288), თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N57ა საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნინო კლდიაშვილს / პ/ნ N60001120882/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /მ. ჭრელაშვილი/ ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N57ა საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე, საერთო ფართობი 49,05 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 18,10 კვ.მ. დამხმარე ფართობი 27,49 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 3,46 კვ.მ. მოქალაქე ნინო კლდიაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია